ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს

01 აგვისტო 2022 წელი

დადგენილება N22

დ.ხარაგაული 56-00

9 აპრილის ქუჩა #15

,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული, თვითმმართველობის უფლებამოსილებას მიკუთვნებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, მისი წარმოების, გამოყენების და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ'' ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 4 იანვრის N 2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე- 20 მუხლის მე -4 პუნქტის საფუძველზე,

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.შეტანილი იქნას ცვლილება ,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული, თვითმმართველობის უფლებამოსილებას მიკუთვნებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, მისი წარმოების, გამოყენების და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ'' ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 4 იანვრის N 2 დადგენილებაში საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ვებგვერდი 08/01/2016, სარეგისტრაციო კოდი 010250020.35.128.016247.

1. შეტანილ იქნას ცვლილება დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტით დამტკიცებულ N1 დანართში და აღნიშნული დანართი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევაში, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული, თვითმმართველობის უფლებამოსილებას მიკუთვნებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა №1 დანართის შესაბამისად.''

2. შეტანილ იქნას ცვლილება დადგენილების პირველი მუხლის მეორე პუნქტით

,,2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის წარმოების, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი №2 დანართის შესაბამისად.''

3.შეტანილ იქნას ცვლილება დადგენილების მე -2 მუხლში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 2 ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს ამ დადგენილებით დამტკიცებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის დამზადებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება.''

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

დანართიN1

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი N

(ოქმის შედგენის ადგილი)

----- ----------20--- წ.
(თარიღი)

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ----------

(ოქმის შემდგენლის თანამდებობა, სახელი, გვარი)

სამართალდამრღვევი: ----------

(მონაცემები სამართალდამრღვევი ფიზიკური პირის შესახებ: სახელი, გვარი, პირადი N, მისამართი)

(მონაცემები სამართალდამრღვევი იურიდიული პირის შესახებ: იურიდიული პირის სახელწოდება, იურიდიული მისამართი,

---

რეგისტრაციის ნომერი და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მონაცემები)

შემოწმების შედეგად გამოვავლინე, რომ ----------

(სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი)

დაზარალებულებსა და მოწმეებს (მათი არსებობის შემთხვევაში) განემარტათ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 253-ე და 256-ე მუხლებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები.

(დაზარალებულის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და მისამართი)

(დაზარალებულის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და მისამართი)

(მოწმის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და მისამართი)

(მოწმის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და მისამართი)

შენიშვნები ოქმის შინაარსის თაობაზე: ---

მოწმეთა და დაზარალებულთა ხელმოწერები: ---

(თუ ისინი ესწრებიან)

ოქმის შემდგენელი: ---

(ხელმოწერა)

სამართალდამრღვევი: ---

(ხელმოწერა ან ხელმოწერაზე უარის თქმის შესახებ აღნიშვნა)

ოქმის ერთი პირი მივიღე: ---

(სამართალდამრღვევის ხელმოწერა)

დამკვეთი: ხარაგაულის მუნიციპალიტეტი

დამამზადებელი:

სემგს-ს რეგისტრაციის N

ექსკლუზიური ნუმერაცია

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევაში, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი

მუხლი 1 ზოგადი დებულებანი

1. აღნიშნული წესი შემუშავებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის, ,,მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ" საქართველოს კანონის აფუძველზე.

2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გამოყენებასა და აღრიცხვა-ანგარიშგებას, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ახორციელებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის მიერ უფლებამოსილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულის მოხელე და ხარაგაულის მუნიციპალიტეტისმიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი''-ს დირექტორის მიერ უფლებამოსილი პირი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის, ,,მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ წესის საფუძველზე.

მუხლი 2 ოქმის დამზადება და დამცავი ნიშნები

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები იბეჭდება სტამბური წესით (შესაბამისი დამცავინიშნების გათვალისწინებით), ხარაგაულის მუნიციპალიტეტსა და პოლიგრაფიულ საწარმოს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

2. პოლიგრაფიული საწარმოდან ოქმების გამოტანაზე უფლებამოსილია პირი, რომელსაც აქვს სათანადოდ გაფორმებული მინდობილობა.

3. ოქმი შეიცავს შემდეგ დამცავ ნიშნებს:

ა) ექსკლუზიურ ნუმერაციას;

ბ) ზედაპირი დაფარული უნდა იყოს დამცავი (გილოშერული) ბადით;

გ) ოქმის ყველა ხაზი შესრულებული უნდა იყოს მიკროშრიფტით, უწყვეტი წარწერით: ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია".

მუხლი 3 ოქმის შედგენა და წარმოება

1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ თვითმმართველობის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ სამართალდარღვევებზე, ოქმს ადგენს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის მიერ საამისოდ უფლებამოსილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულის მოხელე, ხოლო საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სფეროს მიკუთვნებულ საკითხებზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი-,,ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი''-ს დირექტორის მიერ განსაზღვრული

უფლებამოსილი პირი, საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსი"-ს 209[3]-ე მუხლით დადგენილი წესით.

2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი სამსახურის მოხელეს ან/და დასაქმებულს გადაეცემა მათ აღრიცხვა -ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის აღრიცხვის ჟურნალში შესაბამისი აღნიშვნისა და ხელმოწერის შემდეგ.

3. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის დაწყების საფუძველია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი (დანართი №1).

4. სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში საამისოდ უფლებამოსილი პირი სამართალდარღვევის ადგილზე ადგენს ოქმს, რომელიც დგება ერთი და იგივე ნომრის თანაბარი ძალის მქონე 3 ეგზემპლარად. ოქმის ერთი ეგზემპლარი რჩება ოქმის შემდგენ პირს, ერთი ერზემპლარი გადაეცემა სამართალდამრღვევს, ხოლო ერთი ეგზემპლარი წარედგინება სასამართლოს.

5. ოქმში შესატანი მონაცემების რეკვიზიტები განისაზღვრება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 240-ე მუხლის შესაბამისად.

6. ოქმი ივსება ლურჯი ან შავი ბურთულიანი კალმით. ოქმში ყველა ჩანაწერი კეთდება გარკვევით.

7. ოქმის შედგენისას დამრღვევს უნდა განემარტოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობანი.

8. ოქმს ხელს აწერს მისი შემდგენელი და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი, მოწმეების და დაზარალებულების არსებობის შემთხვევაში ასევე - აღნიშნული პირები. იმ შემთხვევაში, თუ სამართალდარღვევის ჩამდენი უარს იტყვის ოქმის ხელმოწერაზე, ოქმში კეთდება სათანადო ჩანაწერი.

მუხლი 4 ოქმების აღრიცხვის ჟურნალი

1. ოქმების გაცემა, დაბრუნება და გაუქმება აღირიცხება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების აღრიცხვის ჟურნალში (დანართი №3).

2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების აღრიცხვის ჟურნალი უნდა იყოს სათანადო წესით დანომრილი, აკინძული, ზონარგაყრილი და ბეჭედდასმული.

მუხლი 5 ოქმების შენახვა

1. ოქმები ინახება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის მიერ უფლებამოსილ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელთან, რომელიც პასუხისმგებელია მათ აღრიცხვა- ანგარიშგებაზე.

2. ოქმები უნდა ინახებოდეს ცეცხლგამძლე სეიფში. სათავსო სადაც ინახება ოქმები უნდა იყოს ხელშეუხებელი გარეშე პირთათვის და სათანადოდ დაცული დაზიანებისაგან.

მუხლი 6 გამოსაყენებლად უვარგისი ოქმის ჩამოწერა

1. ოქმის ჩამოწერა შეიძლება გაფუჭების ან/და დაზიანების შემთხვევაში, როდესაც ის გამოსაყენებლად უვარგისი ხდება.

2. გამოსაყენებლად უვარგისი ოქმი ჩამოიწერება ჩამოწერის აქტის შესაბამისად (დანართი №4).

3. გამოსაყენებლად უვარგისი ოქმის უტილიზაცია ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 7.დასკვნითი დებულება

ამ წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.